№828 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰიდრო ჯორჯიასათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ კიროვკაში მდებარე 1640 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო – კოდი №83.14.08.498) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 344 (სამას ორმოცდაოთხი) ლარად, გადასცეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰიდრო ჯორჯიას“ (ს/კ 404943941).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს შპს „ჰიდრო ჯორჯიას“ მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ჰიდროლეას“, შპს „გეოენერჯის“, შპს „ჰიდრო ჯორჯიასა“ და შპს „სტორი ფაუერს“ შორის 2013 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით (2014 წლის 29 აპრილს გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით) განსაზღვრული „დებედა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**